

ნა კუჭუნია\*

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ჭრილში

## პოსტსკატი

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად იმატა საქმეებმა, რომლებშიც მოსარჩელე მხარეები ითხოვენ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას, რაც ადასტურებს საკითხის აქტუალურობას. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე დგინდება, რომ, ხშირად, ნორმის შეჩერების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობები არ კმაყოფილდება, რასაც, არცთუ იშვიათად, მოსარჩელეთა მხრიდან არასწორად ფორმულირებული მოთხოვნა განაპირობებს. სწორედ ამიტომ სტატიის მიზანია გააანალიზოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და წამოაჩინოს ის კრიტერიუმები, რომლებსაც სასამართლო ეყრდნობა ამ გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე სტატია იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ნორმის შეჩერების პროცედურასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის წარმოჩენის პარალელურად ნაშრომში გაკრიტიკებულია საქართველოს კანონმდებლობის ის ნაწილი, რომლის თანახმადაც არ დაიშვება ნორმის მოქმედების შეჩერება მხოლოდ მოსარჩელის მიმართ.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია წარმოადგენს ნორმის შეჩერების თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის ერთგვარ გზამკვლევეს და გამოსადეგია როგორც სტუდენტების, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისათვის.

\* სამართლის დოქტორანტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

## შესავალი

მიუხედავად საერთო მიზნისა – კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა – მსოფლიოს საკონსტიტუციო სასამართლოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან კომპეტენციებითა და უფლებამოსილებების მოცულობით. ეს ცხადად ვლინდება დროებითი და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილების ნაწილშიც.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში არსებობს დროებითი ღონისძიების არერთი ფორმა. მაგალითად, ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება.<sup>1</sup> „გერმანიაში დროებითი ღონისძიება გაგებულია, აგრეთვე, როგორც სასამართლოს უფლება, შეაჩეროს კანონის ძალაში შესვლა.“<sup>2</sup> „სამხრეთ აფრიკაში, კონსტიტუციური საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ შეიძლება მიიღოს ნებისმიერი „სამართლიანი და მართებული“ („Just and Equitable“) ბრძანება, რაც ასევე მოიცავს დროებითი ხასიათის ბრძანებას.“<sup>3</sup> აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს ბოსნია და ჰერცეგოვინა.<sup>4</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ალტურვილი დროებითი და პრევენციული ღონისძიებების ფართო სპექტრით. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ არსებული კანონმდებლობა უფლების დაცვის პრევენციული საშუალების მხოლოდ ერთადერთ სახეს – ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმს- ითვალისწინებს.“<sup>5</sup>

ნორმის შეჩერების ინსტიტუტი „ემსახურება მოსარჩელე მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილებას სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე“<sup>6</sup> ვენეციის კომისიის განმარტებით, „გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს გამოუსწორებელი ზიანის მიყენებისაგან ინდივიდების დაცვის პრინციპის აუცილებელ გაგრძელებას.“<sup>7</sup> „შესაბამისად, ამ ინსტიტუტის საჭირო დროს და საჭირო

1 იხ. მუხლი 19<sup>2</sup> (5), Constitutional Court Law (ლატვია), ხელმისაწვდომია: <https://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/> (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020)

2 როდინა ა., 2013. დროებითი ღონისძიების არსი და პრობლემური საკითხები ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. *საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა*, N6, გვ. 118

3 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice Adopted By the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), On the basis of comments By Mr Gagik Harutyunyan (Member, Armenia) Ms Angelika Nussberger (Substitute Member, Germany) Mr Peter Paczolay (Member, Hungary) ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020) გვ.38

4 იხ. მუხლი 64, Rules of the Constitutional Court of Bosnia and Herzegovina, ხელმისაწვდომია: <http://www.ccbh.ba/osnovni-akti/pravila-suda/drugi-dio/?title=poglavlje-ii-odluke-i-drugi-akti-ustavnog-suda> (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020)

5 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., 2019. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი*, გამოცემა 1(2019), გვ. 91

6 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის. 2016. განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონებში დაგეგმილ ცვლილებებზე. ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/general-announcement/gantskhadeba-sakonstitutsio-sasamartlos-shesakheb-kanonebshi-dagegmil-tsvilebebeze> (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020)

7 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice Adopted By the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), On the basis of comments By Mr Gagik Harutyunyan (Member, Armenia) Ms Angelika Nussberger (Substitute Member, Germany) Mr Peter Paczolay (Member, Hungary)

მასშტაბებით გამოყენება აუცილებელი და შეუცვლელი საშუალებაა ფუნდამენტური უფლებების შეუქცევადად დარღვევის საფრთხის წინაშე მდგარი მოსარჩელებისათვის.<sup>8</sup>

ალანიშნავია, რომ, მიუხედავად ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ამ ინსტიტუტის ასეთი მნიშვნელობისა, „ზოგი სახელმწიფო სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, არ იძლევა ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას.“<sup>9</sup> მაგალითად, „ჩეხეთში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს *erga omnes* ეფექტის მქონე აქტები, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით მას არ აქვს უფლებამოსილება, შეაჩეროს ისინი.“<sup>10</sup> საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ნორმის მოქმედების შეჩერების ნაცვლად რუსეთში საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება შესთავაზოს შესაბამის ორგანოებს, შეაჩერონ გასაჩივრებული აქტის შესრულება.“<sup>11</sup> ნორმის მოქმედების შეჩერების უფლებამოსილება განსაკუთრებით იშვიათია დიფუზიური საკონსტიტუციო კონტროლის მქონე ქვეყნებში.<sup>12</sup> ასეთ მიდგომას არ ეთანხმება ვენეციის კომისია, რომელიც „მხარს უჭერს სადავო ინდივიდუალური თუ ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას მაშინ, როდესაც მისმა მოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი გამოუსწორებელი ზიანი, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელი იქნება სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ.“<sup>13</sup>

ვენეციის კომისიის შეხედულება გაზიარებულია არაერთი სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, ალბანეთის „საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით (*ex officio*), ან მხარეთა მოთხოვნით, გამოსცეს ბრძანება ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, როდესაც მიიჩნევს, რომ მისმა მოქმედებამ შეიძლება დააზარალოს ინდივიდების უფლებები, ან საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები.“<sup>14</sup> მსგავსი სისტემა მოქმედებს ისეთ ქვეყნებშიც, როგორებიცაა: ავსტრია, სომხეთი, ბელგია, ხორვატია, ესტონეთი, საფრანგეთი,

ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020) გვ.38

8 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., 2019. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი*, გამოცემა 1(2019) გვ. 92

9 მაგალითად: ალჟირი, ანდორა, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მონტენეგრო, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, შვედეთი, უკრაინა და ა.შ. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice Adopted By the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), On the basis of comments By Mr Gagik Harutyunyan (Member, Armenia) Ms Angelika Nussberger (Substitute Member, Germany) Mr Peter Paczolay (Member, Hungary) ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020) გვ.38

10 Conference of European Constitutional Courts XIIth Congress, The relations between the Constitutional Courts and the other national courts, including the interference in this area of the action of the European courts, Report of the Constitutional Court of Czech Republic ხელმისაწვდომია: <https://www.confueconstco.org/reports/rep-xii/Tsjechie-EN.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 18.12.2020) გვ.10

11 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice Adopted By the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), On the basis of comments By Mr Gagik Harutyunyan (Member, Armenia) Ms Angelika Nussberger (Substitute Member, Germany) Mr Peter Paczolay (Member, Hungary) ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020) გვ.38

12 იქვე, გვ.38

13 იქვე, გვ.39

14 Conference of European Constitutional Courts XIIth Congress, The relations between the Constitutional Courts and the other national courts, including the interference in this area of the action of the European courts, Report of the Constitutional Court of the Republic of Albania ხელმისაწვდომია: <https://www.confueconstco.org/reports/rep-xii/Albanie-EN.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 18.12.2020) გვ. 5

გერმანია, ისრაელი, ლიხტენშტეინი, პოლონეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვეიცარია, თურქეთი და სხვ.<sup>15</sup> როგორც უკვე აღინიშნა, ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“<sup>16</sup>

საქართველოში კანონმდებლის მიერ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტის აღიარება ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა უფლების დაცვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საშუალებით ეფექტური სარგებლობა დიდწილად დამოკიდებული ნორმის შეჩერების პროცედურაზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გ. ლუაშვილის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში „სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებისთვის დადგენილია საკმაოდ მკაცრი, მაღალი სტანდარტი.“<sup>17</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიც ცხადყოფს, რომ სასამართლო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას.<sup>18</sup> პრაქტიკის შესწავლა იძლევა იმის თქმის საფუძველსაც, რომ ხშირად, მკაცრ სტანდარტებთან ერთად, სადავო ნორმის შეჩერებაზე უარის თქმის მიზეზი არასათანადოდ ფორმულირებული მოთხოვნაა. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების პროცედურის შესწავლა აქტუალურ და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მოცემული სტატია არის მცდელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდეს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ქრილში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და განხორციელდეს პრაქტიკის სისტემატიზაცია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის N3/2/717 საოქმო ჩანაწერისა და ზოგადი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ნორმის მოქმედების პირობებში კუმულატიურად სახეზეა შემდეგი გარემოებები:

1. არსებობს მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე, რომლის აღმოფხვრა ვერ მოხდება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში;

15 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice Adopted By the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), On the basis of comments By Mr Gagik Harutyunyan (Member, Armenia) Ms Angelika Nussberger (Substitute Member, Germany) Mr Peter Paczolay (Member, Hungary) ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) (უკანასკნელად ნანახია: 18.12.2020) გვ.38

16 მუხლი 25(4), საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996

17 ლუაშვილი გ. 2018. ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების სტანდარტი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), *საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII*, გვ. 28

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-34

2. მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე არის მყისიერი და რეალური;
3. ნორმის მოქმედების შეჩერებას შეუძლია მოსარჩელე მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება, მისი პრევენცია (ეფექტურობის კრიტერიუმი);
4. ნორმის მოქმედების შეჩერება არ გამოიწვევს მესამე პირების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას.

თითოეული ეს გარემოება თავის თავში აერთიანებს არაერთ ქვეკრიტერიუმს. სტატია მიზნად ისახავს სწორედ ამ კრიტერიუმების დეტალურ ანალიზს.

## 1. მოსარჩელისათვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე, რომორს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების წინაპირობა

მოსარჩელისათვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც: ა) სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული სავარაუდო ზიანი შესაძლოა მიაღწეს **ერთ-ერთ მხარეს** და ბ) სახეზეა **გამოუსწორებელი შედეგის** დადგომის საფრთხე. განვიხილოთ თითოეული ეს გარემოება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია **ერთ-ერთი მხარისათვის** გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“ შესაბამისად, ერთი შეხედვით, ნორმის შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი უშუალოდ ადგება ერთ-ერთ მხარეს (როგორც წესი მოსარჩელეს) და არა მესამე პირს, თუმცა ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა სხვა სახის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ვსაუბრობთ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე, შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ადგენს სადავო ნორმის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ზოგად წესს, რომლის მიზანს წარმოადგენს გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება, განურჩევლად იმისა, თუ რა სახის დავასთან გვაქვს საქმე და ვინ არიან მოდავე სუბიექტები. ამდენად, ნორმის მოქმედების შეჩერების უფლებამოსილება რელევანტურია საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეული უფლებამოსილების და ამ უფლებამოსილებით მოსარჩელე თითოეული სუბიექტის მიმართ. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ უზამდგომლობის ავტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფო თანამდებობის პირი/ორგანო. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მიზნებისათვის „ერთ-ერთი მხარისათვის

მიყენებული ზიანის“ მნიშვნელობა განიმარტება სწორედ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი სუბიექტი და რა უფლებამოსილების ფარგლებში მიმართავს სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელითა თუ წარდგინებით.

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, რომლებიც სადავოდ ხდიან ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ნორმის მოქმედების შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება უშუალოდ მათ უფლებებს. აღნიშნული პრინციპი განსხვავებულად მოქმედებს სახალხო დამცველის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს სადავო ნორმის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება სხვა პირთა უფლებების დასაცავად. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოს/თანამდებობის პირს, მისთვის, როგორც უშუალოდ მხარისთვის, გამოუსწორებელი შედეგი უკავშირდება იმ მიზნისთვის საფრთხის შექმნას, რომლის დაცვის მოტივითაც არის გათვალისწინებული მისი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერში დაადგინა: „საკონსტიტუციო სასამართლოში მხარე შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი (ფიზიკური თუ იურიდიული), ისე- სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები. ამ დროს განსხვავებულია მათი სასამართლოსადმი მიმართვის მიზანი. თუკი ადამიანები მიმართავენ სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად, სახელმწიფო ორგანოებს ამოძრავებთ საჯარო მიზანი – ხელი შეუწყონ მთლიანად ხელისუფლების ფუნქციონირებას კონსტიტუციის ფარგლებში. ცხადია, რომ ფიზიკური პირისთვის სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული სავარაუდო გამოუსწორებელი შედეგი ყოველთვის დაკავშირებულია მისი უფლების შეუქცევადად დარღვევის რისკებთან. მაგრამ, როდესაც სასამართლოს მიმართავენ სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები (პრეზიდენტი, სახალხო დამცველი), მათთვის, როგორც მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგების დაყენება, ერთი მხრივ, თავისთავად ვერ იქნება მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული, რადგან პირებს, რომლებიც სახელმწიფოს წარმოადგენენ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში, არ აქვთ პირადი უფლებები. ... სახელმწიფო ორგანოსთვის/თანამდებობის პირისთვის, როგორც მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი უკავშირდება სწორედ იმ მიზნისთვის საფრთხის შექმნას, რომლის დაცვის მოტივითაც არის გათვალისწინებული მისი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა.<sup>19</sup> შესაბამისად, ამ დროს გასათვალისწინებელია კომპეტენციის თვისებრიობა, რომლის ფარგლებშიც მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს.<sup>20</sup>

ერთ-ერთი მხარისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობის მტკიცებასთან ერთად აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წარედგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ამ ზიანის შეუქცევად ხასიათს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/6/668) პარაგრაფი II-9-10

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/6/668) პარაგრაფი II-8

ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა.<sup>21</sup> საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ აქვს უკუქცევითი ძალა და მისი ეფექტი არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე<sup>22</sup>. ამდენად, არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა ვერ მოხდება მაშინაც კი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს სადავო ნორმას. კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს სწორედ ასეთ შემთხვევებში. თუმცა, სადავო ნორმატიულ აქტს შეუძლია თუ არა რომელიმე მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგის გამოწვევა, ისევე, როგორც ის, თუ რას წარმოადგენს „გამოუსწორებელი შედეგი“, დგინდება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე.<sup>23</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „გამოუსწორებელი შედეგის“ საფრთხის არსებობის მტკიცება განსაკუთრებით რთულია სისხლის სამართლის ნორმებთან მიმართებით, ვინაიდან, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.<sup>24</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებისა და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში მოსარჩლე უფლებამოსილია, მოითხოვოს მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადახედვა, მათ შორის დანიშნული სასჯელის ნაწილში.<sup>25</sup> სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის ნორმის შეჩერების თაობაზე შეტანილი არაერთი შუამდგომლობა მიიჩნია დაუსაბუთებლად და მიუთითა, რომ არ დასტურდებოდა „გამოუსწორებელი შედეგის“ დადგომის რისკი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილებაში, რომლითაც დაადგინა: „რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის/სისხლის სამართლის საპროცესო კანონი შესაძლებელია იმდენად შეუქცევად და გამოუსწორებელ ზიანს იწვევდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მოსარჩელისთვის აზრი დაკარგოს ამ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობამ და ვერ მოხერხდეს მისი დარღვეული უფლებების აღდგენა.“<sup>26</sup> აღნიშნული პრეცედენტი გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ცალკეულ შემთხვევებში,

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის საოქმო ჩანაწერი (საქმე №1/3/452,453) პარაგრაფი II-2

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/577) პარაგრაფი II-31-35

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის საოქმო ჩანაწერი (საქმე N2/1/565) პარაგრაფი II-12

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-33

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/21/701,722,725) პარაგრაფი II-29

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-33

ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, „გამოუსწორებელი შედეგის“ საფრთხის რეალურობის მტკიცება შესაძლებელია წარმატებული იყოს სისხლის სამართლის ნორმებთან მიმართებითაც.

დამოუკიდებელ განმარტებას საჭიროებს „გამოუსწორებელი შედეგის“ კომპონენტი იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს მოსარჩელის უფლების განგრძობად დარღვევას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მხოლოდ „ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მხარის უფლებების შესაძლო დარღვევა ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საოქმო ჩანაწერის მიღებიდან საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე არსებულ პერიოდში, თავისთავად ვერ გამოდგება გამოუსწორებელი შედეგის არსებობის დამადასტურებელ გარემოებად. უფლების შესაძლო შეზღუდვა, როგორც წესი, ყველა იმ საქმეზე არსებობს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს. უფლების შეზღუდვის განგრძობადი ხასიათი არ გულისხმობს, რომ არსებობს სადავო ნორმით გამოუსწორებელი შედეგი. ... გამოუსწორებელი შედეგი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ხდება ნორმის მოქმედების შეჩერება, გულისხმობს ისეთ კრიტიკულ შემთხვევებს, როდესაც ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება ნორმით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა.“<sup>27</sup>

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩეროს ნორმის მოქმედება, „გამოუსწორებელი შედეგის“ საფრთხის წარმოჩენის პარალელურად მას უნდა წარედგინოს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ნორმის მოქმედების შეჩერების გარდა არ არსებობს ნორმის მოქმედებით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

ზიანის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობებში მოიაზრება, მაგალითად, უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებები. 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერით სწორედ უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებების არსებობის გამო განაცხადა უარი საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე. მოცემულ საქმეში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის დადგენილ წესს, რომლითაც მას გარკვეული მოცულობით ეზღუდებოდა ვიდეოთვალის მონაცემების სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობა. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის მოქმედება არ გამოიწვევდა გამოუსწორებელი შედეგის დადგომას და განმარტა: „ვიდეოთვალის ჩანაწერი არ არის არჩევნების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება, დაინტერესებულ პირს ინფორმაციის მიღების სხვა მრავალი ალტერნატივა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ თავად მოსარჩელე მას არჩევნებზე დაკვირვების, დარღვევების პრევენციის და მათზე რეაგირების უზრუნველყოფის დამატებით და ეფექტურ საშუალებად მოიხსენიებს. – საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, დამკვირვებელს ხელთ აქვს არაერთი შესაძლებლობა დააკვირდეს საარჩევნო პროცესის ნებისმიერ ეტაპს, დაკვირვების შედეგად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე №2/8/665,683) პარაგრაფი II-16



გარდა ამისა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს შეუძლია შეუზღუდავად აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება. გადაღების უფლებით ასევე სარგებლობენ მედიის წარმომადგენლებიც. – ამასთან ერთად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო დავის განხილვისას, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის შეზღუდული გამოითხოვოს ვიდეორჩანაწერის ნებისმიერი მონაკვეთი. – დასახელებული ფაქტორები მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვიდეოთვალის ჩანაწერი არ არის უალტერნატივო მექანიზმი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება არჩევნების პროცესის ან შესაძლო დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიღება, ან ასეთ დარღვევებზე რეაგირება.<sup>28</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე წარმოადგენს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების აუცილებელ წინაპირობას და მისი შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს ორ გარემოებას:

1. დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში;
2. არ არსებობს ნორმის მოქმედებით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების სხვა ეფექტური მექანიზმი.

## 2. უფლების მყისიერი დარღვევის საფრთხის რეალურობა, რომორც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების წინაპირობა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მოთხოვნისას არ არის საკმარისი ზოგადი მითითება იმის თაობაზე, რომ ნორმის მოქმედებით შესაძლოა დადგეს „გამოუსწორებელი ზიანი“. შუამდგომლობაზე დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე „გამოუსწორებელი ზიანის“ დადგომის საფრთხის რეალურობის დასაბუთება.

უფლების დარღვევის საფრთხის რეალურობის დასაბუთებისათვის სასამართლოს უნდა წარედგინოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული/ჰიპოთეტური მტკიცებულებები. უფლების შესაძლო დარღვევის მტკიცებისას წარმოდგენილი აბსტრაქტული არგუმენტები გახდა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი საქმეში „საქართველოს

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/3/452,453) პარაგრაფი II-5

მოქალაქეები – ნიკოლოზ ცალუღელაშვილი, კახი ცალუღელაშვილი, მაცვალა ბარბაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; რომელშიც სასამართლომ განმარტა: „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მოთხოვნისას მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, ნორმის მოქმედების პირობებში, განჭვრეტად მომავალში, მისი უფლებების შეუქცევადად დარღვევის რეალური საფრთხის არსებობა. მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია ეფუძნება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა შეიძლება დროში ძალიან გაჭიანურდეს და ამ პერიოდში იპოთეკართა მოთხოვნამ შესაძლოა გადააჭარბოს იპოთეკის საგნის საბაზრო ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა შუამდგომლობა ეფუძნება აბსტრაქტულ ვარაუდს, მათ სუბიექტურ მოსაზრებას საქმის განხილვის დროსთან დაკავშირებით და აღნიშნული არგუმენტი ვერ წარმოაჩენს მოსარჩელეთა უფლების შეუქცევადად დარღვევის რისკს.“<sup>29</sup>

აღსანიშნავია, რომ საფრთხის რეალურობის დასაბუთებისას რიგ შემთხვევაში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მოსარჩელემ მიუთითოს „ასეთი საფრთხის თავიდან აცილების არასაკმარისი გარანტიების არსებობაზე, რაც ნათლად დაანახებდა სასამართლოს საფრთხის რეალურობას და დაარწმუნებდა მსგავსი ნეგატიური შედეგის დადგომის მაღალ ალბათობაში.“<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება ისიც, რომ სასურველია საფრთხის რეალურობის დასაბუთებისას სასამართლოს წარდგინოს მტკიცებულებები რომლებიც ნათლად წარმოაჩენს, რა სახის და რა მოცულობის ზიანი შეიძლება მიადგეს მოსარჩელეს. ამასთანავე, თუ მოსარჩელე ფიზიკური ან იურიდიული პირია, შუამდგომლობაში უნდა დაზუსტდეს კონსტიტუციის მეორე თავში შემავალი რომელ მუხლით არის დაცული ის უფლება, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ზიანი.

კონსტიტუციური უფლების დარღვევის საფრთხის რეალურობის მტკიცებისას, სავალდებულოა ასევე მხარემ დაასაბუთოს, რომ მოსალოდნელი ზიანი არის გარდაუვალი არა ზოგადად, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ ასეთი რისკი არ არსებობს, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეაჩერებს სადავო ნორმის მოქმედებას. ამის მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის N3/3/763 საოქმო ჩანაწერი, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმათა მოქმედების შეჩერების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მორიგი თვითმმართველობის არჩევნების გამართვამდე არის რამდენიმე წელი. ამ პერიოდამდე სადავო ნორმებს ობიექტურად არ შეუძლია რაიმე შედეგის, მათ შორის, ნეგატიურის გამოწვევა, რადგან არ არსებობს მათი (ნორმების) გამოყენების საჭიროება. იმავდროულად, მორიგ არჩევნებამდე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე, რაც უზრუნველყოფს უფლების სავარაუდო დარღვევის თავიდან აცილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის საოქმო ჩანაწერი (საქმე N2/3/868) პარაგრაფი II-37

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N2/13/1348) პარაგრაფი II-36

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმათა შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.<sup>31</sup>

ამდენად, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს, რომ არსებობს უფლების დარღვევის ალბათობა აბსტრაქტულ მომავალში, რომელიც დროის თვალსაზრისით სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო თარიღს, საკონსტიტუციო სასამართლო აპრიორი უარს აცხადებს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უფლების დარღვევა სავარაუდოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, მხარე შესაძლოა დადგეს იმის მტკიცების აუცილებლობის წინაშე, რომ მისი უფლების დარღვევის პრევენციისათვის საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს მხირდან მყისიერი რეაგირება, და სადავო ნორმის მოქმედების მყისიერი შეჩერება. „მყისიერი შეჩერების აუცილებლობის“ კრიტერიუმი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამდენად, საინტერესოა ამ გადაწყვეტილებისა და მისი წინმსწრები ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირვანდელი რედაქცია, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით ადგენდა: „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის მოქმედება.“ 2016 წლის 3 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულმა კანონმა განიცადა ცვლილებები და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოცემული საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელსაც შეუძლია **განმწესრიგებელ სხდომაზე** ... მიღებული გადაწყვეტილებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება. ...“ შესაბამისად, აღნიშნული დანაწესით დადგინდა, რომ ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომაზე.

აღნიშნული დებულება არსებითი განხილვის ფორმატში საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობის საგანი გახდა N3/5/768,769,790,792 საქმეში. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმით პროცედურულად იზღუდებოდა ნორმის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდი. მოსარჩელეთა პოზიციას დაეთანხმა საკონსტიტუციო სასამართლო და განმარტა: „გამოუსწორებელი შედეგის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს როგორც განმწესრიგებელი სხდომის გამართვამდე, ასევე – მისი ჩატარების შემდგომ. სავსებით შესაძლებელია ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომელიც არსებობდა განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე,

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/5/600) პარაგრაფი II-16

შეიცვალოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ... საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასაც მოიცავს, უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებაში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას. მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს მოლოდინი და რეალური შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ეფექტური მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება, თუ ჩათვლის, რომ მისი მოქმედებით შესაძლოა მოსარჩელეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს.<sup>32</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სიტყვები „განმწესრიგებელ სხდომაზე“. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით აღარ იზღუდება სადავო ნორმის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის დაყენების პერიოდი და მხარეებს შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვონ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება. ამდენად, დროითი ბარიერი ნორმის შეჩერების უფლებამოსილების გამოყენების კუთხით აღარ არსებობს, მაგრამ პარალელურად გაიზარდა გარდაუვალი საფრთხის რეალურობის მტკიცებისათვის დადგენილი სტანდარტები.

არსებულ სამართლებრივ რეალობაში, როდესაც მხარეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ნორმის მოქმედების შეჩერებით მიმართვის უფლება აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, აფასებს ხსენებული მექანიზმის დროში მოქმედების ... საკითხს.<sup>33</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სადავო ნორმის შეჩერების მექანიზმი გამოიყენება, დაუყოვნებელი, მყისიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ... საკონსტიტუციო სასამართლო არ შეაჩერებს სადავო ნორმის მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე მყისიერი არ არის და შესაძლოა, არსებობდეს სამომავლოდ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა პერიოდში, რადგან ასეთი შესაძლებლობა მას შემდეგ მაინც ექნება.“<sup>34</sup> სწორედ ამ საფუძვლით საკონსტიტუციო სასამართლომ N1459 და N3/5/1491 საოქმო ჩანაწერებით უარი განაცხადა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვა საინტერესოა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ხანგრძლივობის ჭრილშიც. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/5/768,769,790,792) პარაგრაფი II-132-133

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/24/1459) პარაგრაფი II-24

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/5/768,769,790,792) პარაგრაფი II-154

პირველი წინადადების თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“ შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედება, საქმის ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება, შეჩერდეს კონკრეტული ვადით ან სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2013 წლის 30 მაისის ორგანული კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეგულაციების საფუძველზე მხარეს შეეძლო მოეთხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერება, თუმცა, თუ ამ კონკრეტულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა 30 (ან ცალკეულ შემთხვევაში 45) კალენდარული დღის განმავლობაში, სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უპირობოდ ძალას კარგავდა ზემოაღნიშნული ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან. ეს რეგულაცია პრობლემური იყო, ვინაიდან, თუ საქმის სირთულის ან სხვა მიზეზის გამო საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მოახერხებდა 30 (ან ცალკეულ შემთხვევაში 45) კალენდარულ დღეში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალას დაკარგავდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იარსებებდა მისი შეჩერების ობიექტური საჭიროება.

ეს რეგულაცია კონსტიტუციურობის კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა საქმეში „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოცემულ საქმეში მოპასუხემ ნორმით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად სადავო აქტის მოქმედების შეჩერებით წარმოშობილი ხანგრძლივი „საკანონმდებლო ვაკუუმის“ თავიდან აცილება და მესამე პირების ინტერესების დაცვა დაასახელა. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დასაშვებია კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა, თუმცა, თანაზომიერების პრინციპის დარღვევის გამო არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული რეგულაცია და განმარტა: „გასაჩივრებული ნორმა ითვალისწინებს ზოგადი ხასიათის შეზღუდვას, რომელიც ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ყველა შემთხვევაზე და აღგენს სასამართლოს მიერ შეჩერებული ყველა სადავო აქტის მოქმედების უპირობოდ აღდგენას შეჩერების ვადის ამოწურვის შემთხვევაში. მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც სადავო აქტის მოქმედების შეჩერება არ იწვევს მესამე პირების უფლებების დარღვევას ან სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების დაზიანებას.“<sup>35</sup> შემოთავაზებული მექანიზმი მოუქნელია და არ იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებული, აწონდაწონილი იქნეს, ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესი, არ დადგეს გამოუსწორებელი შედეგების, უფლების შეუქცევადი დარღვევის წინაშე და, მეორე მხრივ, მესამე პირებისა და

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-41

საზოგადოების ის ინტერესები, რომელთა დაცვასაც სადავო აქტი ემსახურება. სადავო ნორმა a priori პრიორიტეტს ანიჭებს მესამე პირების ინტერესს ... და საკონსტიტუციო სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტულ შემთხვევაში თავად დააბალანსოს დაპირისპირებული ინტერესები.<sup>36</sup>

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის ჩანაწერს. შესაბამისად, მხარის მოთხოვნით, შესაბამისი ობიექტური საჭიროების არსებობისას, სადავო ნორმის ან მისი ნაწილის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, იმის მიუხედავად, თუ რა დრო დასჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად.

ცხადია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობაც, კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს საფუძვლებს, როდესაც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას ნორმის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისას დეტალურად შესწავლილი და გათვალისწინებული იქნეს საქმის კონკრეტული გარემოებები. ამდენად, ნორმის შეჩერების ხისტი მიდგომა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში აღარ გვხვდება.

### 3. მექანიზმის ეფექტურობა, რომორც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების წინაპირობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს ამ მექანიზმის გამოყენების ეფექტურობაზე. კერძოდ, რამდენად იქონიებს გავლენას ნორმის მოქმედების შეჩერება მხარის სამართლებრივ მდგომარეობაზე გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების თვალსაზრისით.<sup>37</sup> სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საფუძველი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედების შეჩერება ცვლის მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობას, შესაძლებელს ხდის იმ ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც მას სადავო ნორმის მოქმედების შედეგად შეიძლება მიადგეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საქმეები, რომლებშიც ნორმის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველად სწორედ ამ მექანიზმის არაეფექტურობაა

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-44

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის საოქმო ჩანაწერი (საქმე N2/2/1337) პარაგრაფი II-6

მითითებული. მაგალითად, №679 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო სამართლის საქმეზე სადავო ნორმების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის რეალური საფრთხე, რაც მოსარჩელებისათვის გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, გარიგებების კანონიერების, მისი ბათილობის საფუძვლების შემოწმებისას გამოიყენება გარიგების დადების დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ... ამდენად, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილობის საკითხი წყდება ამ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ... სადავო ნორმის შეჩერება გავლენას ვერ მოახდენს მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობაზე, ის ვერ შეცვლის 2005 ან/და 2006 წლებში დადებული გარიგების ბათილობის საფუძვლებს.<sup>38</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა. ანალოგიური საფუძვლით უარი ეთქვა მოსარჩელეს ნორმის შეჩერებაზე საქმეში საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

ცალსახად უნდა ითქვას, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ეფექტურობის მტკიცება განსაკუთრებით რთულია იმ საქმეებში, რომლებშიც უარყოფითი შედეგი უკვე დამდგარია. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, მისი არაკონსტიტუციურად ცნობისაგან განსხვავებით, არ ადგენს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურ შინაარსს.<sup>39</sup> შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, როგორც წესი, არ განიხილება უკვე მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის საფუძველად. მეორე მხრივ, ასეთი ტიპის სარჩელებში გართულებულია „გამოუსწორებელი შედეგის“ კომპონენტის მტკიცებაც, ვინაიდან, უდიდესი ალბათობით, თუ ნორმის შეჩერება იძლევა უკვე დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას, ანალოგიური შედეგი დადგება მოგვიანებითაც, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ, როდესაც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე უკვე დარღვეულია მოსარჩელის უფლება და შედეგი დამდგარია, პრაქტიკული შანსი იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შეაჩერებს სადავო ნორმის მოქმედებას, ძალიან დაბალია. მაგალითისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/535 საოქმო ჩანაწერში მითითებულია: „წარმოდგენილი სარჩელიდან და თანდართული მასალიდან ირკვევა, რომ მოსარჩელეს, სადავო ნორმის შეფარდების შედეგად, უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი და სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ანუ, მის მიმართ სადავო ნორმის მოქმედების შედეგი უკვე დადგა. შესაბამისად, არ არსებობს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მოსარჩელის ეს მოთხოვნა დაუსაბუთებელია.“<sup>40</sup>

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 2 აპრილის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/3/679) პარაგრაფი II-5-6

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 2 აპრილის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/3/679) პარაგრაფი II-7

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/5/535) პარაგრაფი II-16

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სასამართლოს წარედგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მას დაარწმუნებს, სადავო ნორმის შეჩერება წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია ფაქტობრივი სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა და უფლების სავარაუდო დარღვევის თავიდან აცილება.

#### 4. ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დასვის უზილვალობა, როგორც ნორმის მოქმედების შეჩერების წინაპირობა

ნორმატიული აქტებით დადგენილი ქცევის ზოგადსავალდებულო წესები ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი სფეროების მოწესრიგებასა და კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძო და საჯარო ინტერესების დაცვას. რიგ შემთხვევებში სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებამ შესაძლებელია შეზღუდოს როგორც კერძო, ისე – საჯარო ინტერესები და დააზიანოს ის ღირებულება, რომლის დასაცავადაც არის მიღებული ეს აქტი,<sup>41</sup> სწორედ ამიტომ, სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>42</sup>

სხვათა უფლებების დარღვევისა და საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების რისკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არის არაერთი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ არსებობდა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელის უფლებების დარღვევისა და გამოუსწორებელი შედეგის დადგომის რეალური საფრთხე, თუმცა, სწორედ სხვათა უფლებების ან/და საჯარო ინტერესების დაცვის მოტივით უარი განაცხადა ნორმის მოქმედების შეჩერებაზე. ამდენად, თუ იკვეთება სხვა პირთა უფლებებისათვის ან საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის უმნიშვნელოვანესია ამ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა.

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-20

42 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/3/509) პარაგრაფი II-9



საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა წარედგინოს შემდეგი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები:

1. მოსარჩელის კერძო ინტერესი მნიშვნელოვნად აღემატება მესამე პირთა ინტერესს, ან იმ საჯარო ინტერესს, რომელსაც შესაძლებელია, მიადგეს ზიანი;
2. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში არსებობს სხვა რეგულაციები, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს საჯარო ინტერესს ან სხვა პირთა უფლებებს.

სწორედ ამ ორ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“:

მოსარჩელეს ესაჭიროებოდა ღვიძლის გადანერგვა, რაც დასტურდებოდა ექსპერტთა დასკვნებითა და შესაბამისი დოკუმენტაციით. კანონმდებლობის თანახმად, ორგანოთა გადანერგვა შეეძლოთ მხოლოდ ოჯახის წევრებს. მოსარჩელის ოჯახში არ მოიძებნა ადამიანი, რომელიც მას დონორად გამოადგებოდა, თუმცა მის მეგობარს შეეძლო მისი დახმარება, რომლის შესაძლებლობასაც კანონმდებლობა არ იძლეოდა.<sup>43</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას.

აღნიშნულ საქმეში ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, სიცოცხლის უფლება და, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესი. როგორც მოპასუხე მხარე განმარტავდა, ნორმის მოქმედების შეჩერება საფრთხის ქვეშ დააყენებდა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და მესამე პირთა უფლებას დაცული იყვნენ ადამიანის ორგანოთა ტრეფიკინგისგან.<sup>44</sup> საქმის გარემოებებისა და საქართველოს კანონმდებლობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „სასამართლო ითვალისწინებს მოპასუხის წარმომადგენლის არგუმენტს ცოცხალ დონორობაზე უფლების მქონე პირთა წრის გაფართოვების შემთხვევაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხის შესახებ. სასამართლო იმავდროულად მიუთითებს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ იწვევს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზებას და მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის პრევენციის არაერთ სხვა მექანიზმს. ... სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, მართალია, შესაძლებელია, ქმნიდეს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხეს და აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის მიმართულებით საჭიროებდეს სახელმწიფოს მეტ ძალისხმევას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის სხვა ქმედით მექანიზმებსაც ითვალისწინებს, რამაც უნდა უზრუნველყოს დონორის სიცოცხლისა

43 ბარძემიშვილი თ. 2016. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვასთან“ დაკავშირებით კანონში ცვლილების შეტანას ელოდებიან. სტატია ხელმოსაწვდომია ბმულზე: <https://tamtabardzemishvili.wordpress.com/2016/06/21/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90/> (უკანასკნელად გადამოწმებულია 31.09.2020)

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/9/682) პარაგრაფი I-20

და ჯანმრთელობის დაცვა.<sup>45</sup> მეორე მხრივ ... საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსარჩელის ჯანმრთელობის შეუქცევადი გაურესება, მათ შორის, გარდაცვალება. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ ქმნის ისეთ საფრთხეს, რის გამოც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა ეფიქრა, რომ სადავო ნორმის მოქმედების საჯარო ინტერესი ამეტებს მოსარჩელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესს.<sup>46</sup> ამდენად, აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის კერძო ინტერესი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საჯარო ინტერესს და, ამავდროულად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდა საჯარო ინტერესების დაცვის სხვა მექანიზმებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ჭრილში კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნორმის მოქმედებით გამოწვეული შესაძლო ზიანის ხარისხის შეფასებისას, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეტანილი სარჩელის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს მხოლოდ იმ ზიანს, რომელიც, შესაძლოა, მიადგეს უშუალოდ მოსარჩელეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული შეხედულება გააჩნია მოსამართლე ირინე იმერლიშვილს. მან N1384 საოქმო ჩანაწერზე განსხვავებული აზრის სახით დააფიქსირა მოსაზრება, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ნორმის მოქმედებიდან გამომდინარე, ზიანი ზოგადად და არა მხოლოდ კონკრეტული მოსარჩელის მიმართ. მის განსხვავებულ აზრში ვკითხულობთ: „არ ვიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვას, რომ გამოუსწორებელი შედეგის მასშტაბის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ უშუალოდ მოსარჩელის მიმართ დამდგარი შედეგის მოცულობა. ნორმის მოქმედების შეჩერება შეეხება არა მხოლოდ მოსარჩელეს, არამედ – ყველა პირს, რომელზეც ეს ნორმა ვრცელდება და რომლის მიმართაც შესაძლებელია არსებობდეს გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე. შესაბამისად, გამოუსწორებელი შედეგის მასშტაბის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, ასევე, მოსარჩელის კატეგორიაში მყოფი სხვა პირების ინტერესები და სწორედ ის შეუპირისპიროს კონსოლიდირებულ ინტერესებს.“<sup>47</sup>

მიუხედავად ირინე იმერლიშვილის არგუმენტაციისა, საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო ინტერესებს შეუპირისპირა მხოლოდ უშუალო მოსარჩელის ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უახლოესი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასურველია, სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული შესაძლო ზიანის

45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/9/682) პარაგრაფი II-10-11

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი (საქმე N3/9/682) პარაგრაფი II-13-14

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/13/1384 საოქმო ჩანაწერზე, პარაგრაფი 10

მასშტაბებისა და ხარისხის წარმოჩენისას მოსარჩელეს მტკიცება მკაფიოდ მიემართებოდა იმ ფაქტს, რომ უშუალოდ მოსარჩელის მიმართ დამდგარი ზიანი თავისი მნიშვნელობით აღემატება საჯარო ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ, არსებული კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება მხოლოდ ზოგადად და ვერ მოითხოვს მისი მოქმედების შეჩერებას პირთა მხოლოდ განსაზღვრული წრის მიმართ, თუნდაც ეს მნიშვნელოვნად ამცირებდეს სხვა პირთა ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის მასშტაბს. აღნიშნულის დასტურია საქმე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც მოსარჩელე მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით სადავო ნორმის მოქმედების პერსონალურად მისდამი შეჩერების შესახებ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ მისი ეს კონკრეტული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ყველას მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი, მას შეუძლია შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება“. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ რეგულაციის არსს და მიზანს არ წარმოადგენს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება კონკრეტული პირების მიმართ ინდივიდუალურად, პერსონალურად.<sup>48</sup>

საქართველოს კანონმდებლობის ეს რეგულაცია არაერთხელ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული მოსამართლეების კრიტიკის ობიექტი. საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ კანონმდებლობით „შესაძლებელი იყო უფრო ნაკლებად მზლუდველი მექანიზმის შემოღება, რომლითაც დაცული იქნებოდა სამართლიანი ბალანსი, ... კერძო და საჯარო ინტერესების დაცვას შორის. მაგალითად, ... სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არა ზოგადად, არამედ მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით შეჩერების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც მაღალია ნორმის შეჩერებით გამოწვეული სავარაუდო ზიანის ალბათობა, ამგვარი მექანიზმი შესაძლებელია მართლაც წარმოადგენდეს პრობლემის გადაჭრის უფრო ზუსტ, უკეთესად მორგებულ მექანიზმს, რომელიც, ერთი მხრივ, დაიცავს მოსარჩელის ინტერესს, არ მოხდეს მისი უფლებების შეუქცევადი დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, ნორმის მოქმედების შეჩერება ნაკლებად გამოიწვევდა საჯარო ინტერესების ან მესამე პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს. შესაბამისად, შემცირებული იქნებოდა სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტები.“<sup>49</sup>

48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის საოქმო ჩანაწერი (საქმე N1/1/592) პარაგრაფი II-11

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/577) პარაგრაფი II-25

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ნორმის მხოლოდ ზოგადად, ყველას მიმართ შეჩერების დამდგენი რეგულაციის მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების კრიტიკული პოზიციისა, საქართველოს კანონმდებლობაში ამ კუთხით ცვლილებები არ განხორციელებულა და მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შეზღუდვის პერსონიფიცირების საშუალებას. მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ნორმის მოქმედების შეჩერება ზოგადად, ყველას მიმართ.

## დუსკენა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მოცულობითი პრაქტიკა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხზე. ამ პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომებისა და მოთხოვნების გათვალისწინება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საკონსტიტუციო სარჩელისა და წარდგინების ავტორებს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის ფორმირებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საქმიანობით ამ ინსტიტუტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი გადაწყვეტილებების საფუძველზე არაერთი ცვლილება შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში. დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მოთხოვნა საქმის განხილვის ნებიმიერ ეტაპზე, ამასთან, ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მაქსიმუმ გადაწყვეტილების მიღების ვადით და ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადა აღარ შემოიფარგლება 30 (რიგ შემთხვევებში 45) დღით. ეს ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, საკანონმდებლო ხელისუფლებას დღემდე არ გაუტარებია კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემდა მხოლოდ მოსარჩელის, ან პირთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას. სასურველია, საკანონმდებლო ხელისუფლებამ გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია და განხორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.